საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის
სამინისტროს, სსიპ „გარემოს ეროვნული სააგენტო“-ს

გაცნობებთ, რომ „თერჯოლის მუნიციპალიტეტში შპს „ექსიმგრუპი“-ს ფეროშენადნობების წარმოების ქარხნის (სილიკომანგანუმის საწარმოს) მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“, საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 22 იანვრის N2-60 ბრძანების საფუძველზე, ვახორციელებთ ფეროშენადნობის ქარხნის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტს.

საწარმოს მოწყობის სამუშაოების დაწყების შემდეგ მიღებული იქნა გადაწყვეტილება საბაზისო პროექტში ცვლილებების შეტანის თაობაზე, რომლის მიხედვით იგეგმება საწარმოს წარმადობის გაზრდა 1.644 ტ/სთ-დან 4.8 ტ/სთ-მდე. რისთვისაც გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული 9 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელის გარდა, დამატებით მოეწყობა 18 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ღუმელი. საპროექტო ცვლილებების მიხედვით საწარმოში მიმდინარე პროცესების ტექნოლოგიური ციკლის და სამუშაო რეჟიმის ცვლილება დაგეგმილი არ არის.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2022 წლის 9 მარტის N2-165 ბრძანებით დაგეგმილი საქმიანობა დაექვემდებარა გარემოზე ზემოქმედების შეფასებას (გზშ).

წარმოგიდგენთ შპს „ექსიმგრუპი“-ს ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიშს და გთხოვთ თქვენს დასკვნას.

წერილს თან ერთვის:

- შპს „ექსიმგრუპი“-ს ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილების სკოპინგის ანგარიში - 1 ეგზემპლიარი ნაბეჭდი ვერსია;
- ამონაწერი სამეწარმეო რეესტრიდან შპს „ექსიმგრუპი“-ს რეგისტრაციის თაობაზე;
- სკოპინგის ანგარიშის ელექტრონული ვერსია და საქმიანობის განხორციელების ტერიტორიის გეოგრაფიული კოორდინატები SHPs ფაილების სახით.

პატივისცემით ბ. კლიმიაშვილი
შპს „ექსიმგრუპი“-ს დირექტორი

შპს ექსიმგრუპი 405239674 Eximgroup LLC

ს.ს.ი.პ. გარემოს ეროვნული სააგენტო
„10“ 05 2022 წ.
№ 1467